საქართველოს ეროვნული პარკების მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება

მარიამ თათარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (მიმართულება: ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუგზარ ზაზანაშვილი ასოც. პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

სარჩევი

აბსტრაქტი 2

1. შესავალი და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა 3

1.1 დაცული ტერიტორიების განვითარების მოკლე ისტორია 6

1.2 დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება საქართველოში 8

2. კვლევის მიზნები და ამოცანები 13

3. აქტუალობა, სიახლე, პრაქტიკული ღირებულება და კვლევის ობიექტები 15

3.1 კვლევის ობიექტები 15

3.2 ეროვნული პარკი როგორც დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის კატეგორია 19

4. კვლევის მეთოდოლოგია 22

5. კვლევის შედეგები 25

6. დასკვნები და რეკომენდაციები 50

გამოყენებული ლიტერატურა 53

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება მეტად აქტუალურ საკითხს, სახელდობრ კონკრეტული დაცული ტერიტორიების მართვას. ცნობილია, რომ დაცული ტერიტორიები დღეისთვის ერთ-ერთი უმთავრესი „მექანიზმია“ საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და მომავალი თაობების შენარჩუნებისათვის. დღეისათვის ეს არის დინამიურად განვითარებადი სისტემა: არსდება ახალი დაცული ტერიტორიები, მატულობს მათი ფართობი; თუმცა, მართვის/მენეჯმენტის არასრულყოფილებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს რიგ დაცულ ტერიტორიებს მათი ფუნქციების განხორციელებაში. იმისათვის, რათა სწორად ვმართოთ დაცული ტერიტორიები, უპირველესად, საჭიროა მათში არსებული მენეჯმენტის შეფასება და იმ საკითხების გამოვლენა, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

წინამდებარე ნაშრომში თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიით (სპეციალური კითხვარის გამოყენებით) შეფასებულია საქართველოს 8 ეროვნული პარკისა და ერთი დაცული ტერიტორიის (ლაგოდეხის ნაკრძალი და აღკვეთილი) მენეჯმენტის ეფექტურობა. გამოვლენილია ძლიერი მხარეები, ხარვეზები და შესაძლებლობები. შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგებს უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია - ისინი გადაეცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში არსებულ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.